საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/1 "6" იანვარი 2010 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაზე საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

2010 წლის დასაწყისისათვის, საქართველოს საერთო სასამართლოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, საჭიროა მოსამართლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის, მოსამართლეთა მანტიების, სასამართლოს მანდატურის ფორმების, საწვავის, სახარჯი მასალების აღდგენის, საკანცელარიო საქონლის, საექსპერტო მომსახურების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურების, სატელეფონო მომსახურებისა და საფოსტო გზავნილებით მომსახურების შესყიდვა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით შესყიდვის განხორციელებისათვის დადგენილი მონეტარული ზღვრების შესაბამისად, აღნიშნული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა უნდა მოხდეს ტენდერის საშუალებით. სატენდერო პროცედურების განხორციელების შემთხვევაში, ტენდერის ჩატარებისათვის დადგენილი ვადების გათვალისწინებით, გარკვეული საფრთხე შეექმნება მართლმსაჯულების სრულყოფილად განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე:

ა) შექმნილი მდგომარეობა შეფასდეს როგორც გადაუდებელი აუცილებლობა;

ბ) თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განახორციელოს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი